1975 19 აპრილს
კომუნისტური შაბათობაა

ყველანი შაბათობაზე!

ვიმუშაოთ დამკვრელურად, გამოვუშვათ იმაზე მეტი პროდუქცია, ვიდრე ჩვეულებრივ სამუშაო დღეს!

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

1975
შაბათი
19
აპრილი
№ 92
(16218)
ფასი 2 კაპ.
1975

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის ნაცად ავანგარდს!

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას!

სსკკ ცენტრალური კომიტეტი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

კომუნისტური აღმშენებლობისა და მჯიღი მშვიდობისათვის

ბაიოველთაო-ხახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ეგიდები ჩვენი სამშობლო დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავს. საბჭოთა ხალხი ამ სახელოვან თარიღს ხვდება ეშშარიტად ისტორიული მიღწევებით კომუნისტური საზოგადოების მშენებლობასა და მშვიდობის, დემოკრატიისა და თავისუფლების იმ იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლებისთვისაც ხალხები იბრძოდნენ ფაშიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი აქტივობა, მათი უსაზღვრო ერთგულება კომუნიზმის საქმისადმი ხორცს ისხამს 1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და საერთოდ მეცხრე ხუთწლედის წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების უფართოესი გაქანებით.

ამ დღეებში მოხდა უდიდესი მოვლენა ლენინური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში — 1975 წლის 16 აპრილს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების გამო პლენუმმა გადაწყვიტა საკითხი 1976 წლის 24 თებერვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXV ყრილობის მოწვევის შესახებ.

ჩვენი პარტიის ყრილობები ასახავენ საბჭოთა საზოგადოების განვითარების, კომუნისტური აღმშენებლობის დიდმნიშვნელოვან ეტაპებს. სკკპ XXV ყრილობა ახალ ჰორიზონტებს გადაუშლის პარტიისა და ხალხის რევოლუციურ-გარდამქმნელ მიღწევებს, მათს ტიტანურ ბრძოლას მშვიდობისა და კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. ა. ა. გრომიკოს მოხსენება „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ“.

განიხილა რა ეს საკითხი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა და მთლიანად დაუჭირა მხარი პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობას პარტიის XXIV ყრილობის საგარეოპოლიტიკური კურსის, მის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებისათვის.

პლენუმმა კმაყოფილებით აღნიშნა: მოვლენათა მსვლელობამ დამაჯერებლად დაადასტურა, რომ სწორი და შორსმჭვრეტელური იყო თანამედროვე მსოფლიო ვითარების XXIV ყრილობისეული მარქსისტულ-ლენინური ანალიზი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობის შოდელები, რომლებიც მან წამოაყენა. „სოციალისტური საგარეო პოლიტიკის დიდი წარმატებებს საფუძველია, — აღნიშნა პლენუმმა, — საბჭოთა კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მიერ ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობის დარგში მოპოვებული დიდი მიღწევები, მეძმე სახელმწიფოების მტკიცე ერთიანობა და მათი მოქმედების შეთანხმებულობა, თანმიმდევრულობა და პრინციპულობა მშვიდობის საქმის, ხალხთა ძირეული ინტერესებს დაცვაში“.

საბჭოთა კავშირი, ჩვენი მეგობრები და მოკავშირეები მსოფლიო მოვლენების აქტიური მონაწილენი არიან. პარტიის XXIV ყრილობის მიერ განსაზღვრული საგარეოპოლიტიკური კურსის, მშვიდობის პროგრამის თანმიმდევრული განხორციელება საბჭოთა კავშირისათვის, მეძმე ქვეყნებისათვის უზრუნველყოფს. ხელშემწყობ გარემოს პირობებს, რათა კიდევ უფრო მტკიცედ იარონ წინ სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების გზით.

ლენინური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების შესაბამისად ახორციელებენ სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცების, მოძმე ქვეყნებთან სამოკავშირეო ურთიერთობის განვითარების. ჩვენი თანამედროვე საქმიანობის კოორდინაციის კურსს, რომელიც მიზნად ისახავს ახალი წარმატებებს მიღწევას ბრძოლაში მშვიდობისათვის, საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის. ევროპის სოციალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკური და თავდაცვითი თანამშრომლობის საიმედო იარაღი უკვე ამ ორი ათწლეულის მანძილზე არის ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. განუხრელად მტკიცდება მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობა და ძლიერება. მისი ხალხების მეგობრობასა და ძმობას ადუღაბებს სოციალისტურ სახელმწიფოთა კომუნისტური და მუშათა პარტიების მარქსისტულ-ლენინური ინტერნაციონალისტური ერთიანობა.

ბრძოლამ, რომელსაც ჩვენი პარტია და სახელმწიფო ეწევიან სოციალიზმის სხვა ქვეყნებთან ერთად, მთელ დემოკრატიულ, მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად, გაიჯანსაღა საერთაშორისო ვითარება. გაბატონებული გახდა დაძაბულობის შენელების ტენდენცია. „ცივი ომის“ იმპერიალისტური პოლიტიკა მარცხს განიცდის. სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრება უპირისპირდება აგრესიისა და დიქტატის პოლიტიკას, მშვიდობისმოყვარე ძალების დიდმნიშვნელოვანი ხტომელია, ხელს უწყობს დაძაბულობის შენელების პროცესში ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა რეალისტურად მოაზროვნე წრეების მონაწილეობას.

მიმდინარე პოზიციურ ცვლილებათა დამაჯერებელი დადასტურებაა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მოწვევა. უმაღლეს დონეზე უახლოეს ხანში ამ თათბირის წარმატებით დამთავრება იქნება უდიდესი ნიშანსვეტი ევროპის მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის გზაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ ამჟამად არსებობს საჭირო ობიექტური პირობები საერთაშორისო კონფლიქტების სპართლიანი და მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

უკვე მრავალი წელია საშიში დაძაბულობის კერად რჩება ახლო აღმოსავლეთი. აღმოფხვრილი არ არის ამ რაიონში ახალი სამხედრო შეტაკების საფრთხე. ამის მიზეზი ის არის, რომ დღემდე იხრაელს არ გაუთავისუფლებია ოკუპირებული არაბული მიწები. ჩვენ მხარს ვუჭერთ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის პოლიტიკურ მოწესრიგებას, მაგრამ არა ილუზორულს, არამედ სამდგომს, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცე მშვიდობის დამყარებას. ამისათვის საჭიროა მთლიანად განთავისუფლდეს არაბული მიწები ოკუპანტებისაგან, დაცულ იქნას პალესტინელთა კანონიერი უფლებები; მათ შორის საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლებაც. უზრუნველყოფილ იქნას რაიონის ყველა სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობისა და განვითარების უფლება. კონფლიქტის სრული მოწესრიგებისათვის აუცილებლად უნდა გაიმართოს ჟენევის ხაზავი კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე.

ახლა ახალი ძალით იჩენს თავს ინდოჩინეთის მებრძოლი ხალხებისა-თვის საბჭოთა კავშირისა და მეძმე ქვეყნების ინტერნაციონალისტური მხარდაჭერის ხამრლიანობა. ამ მხარდაჭერამ გმირ ვიეტნამელ ხალხს ხაშუალება მისცა მოეგერიებინა იმპერიალისტური აგრესია. მთელმა მსოფლიომ შვებით აღიქვა თავის დროზე ვიეტნამის მიწაზე ომის შეწყვეტისა და მშვიდობიანი აღდგენის შესახებ პარიზის შეთანხმებათა დადება. ვიეტნამის უკანასკნელი მოვლენები მოწმობენ, რომ საიგონის ძირმომპალი რეჟიმი, რომელსაც არც კი უფიქია პარიზის შეთანხმებების შესრულება და განუწყვეტელ სამხედრო პროვოკაციებს აწყობდა, ახლა დაშლის პირას დგას. მსოფლიოს თვითეული პატიოსანი ადამიანი მიესალმება იმ მნიშვნელოვან წარმატებებს, რომელიც ამ ბოლო ხანს მოიპოვეს ხამხრეთ ვიეტნამის პატრიოტულმა ძალებმა. საბჭოთა კავშირი, მეძმე სოციალისტური ქვეყნები, მთელი პროგრესული კაცობრიობა მოითხოვენ ვიეტნამელი ხალხის კანონიერი ინტერესების დაცვას, ვიეტნამის ხაშინაო საქმეებში გარეშეთა ჩარევის აღკვეთას, ყველა მონაწილის მიერ პარიზის შეთანხმებათა ზუსტად დაცვას.

ამას წინათ კამბოჯის პატრიოტული ძალების გამმჭოავისუფლებელი არმია შევიდა დედაქალაქში და ამოავრეს მარიონეტული რეჟიმის განადგურებას. ინდოჩინეთის ხალხებმა, გამოიჩინეს რა უდრეკი ნება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი, გააკმტკიცერეს იმპერიალისტური დამმონებლებისა და შინაური რეაქციის ზრახვები.

დაძაბულობის კერა შენარჩუნებულია ევროპის პერიფერიაშიც. ეს არის კვიპროსი. ბოლო ხანმდერო ბლოკის ზემოქმედებით ცდილობენ ფაქტიურად დაანაწევრონ დამოუკიდებელი კვიპროსის სახელმწიფო და მოახდინონ მისი ლიკვიდაცია. საბჭოთა კავშირი მომხრეა მისი მთლიანობისა და დამოუკიდებლობისა. ამ პოზიციას მხარს უჭერს ქვეყნების უმრავლესობა.

ჩვენი პარტია და სახელმწიფო, ახორციელებენ რა ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, ხელმძღვანელობენ იმით, რომ დაძაბულობის შენელების პოლიტიკის მთავარი შინაარსია ბრძოლა სახელმწიფოთა ურთიერთობაში ძალის გამოყენებაზე უარის თქმისათვის. საერთაშორისო ურთიერთობის ისეთი ფუძემდებლური პრინციპების აღიარება და პრაქტიკული გამოყენება, როგორიც არის სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, თანასწორუფლებიანობა, ჩაურევლობა საშინაო საქმეებში. ამ პრინციპებს საყოველთაო ხასიათი აქვს. მათ ყველა სახელმწიფო უნდა იცავდეს. საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იცავს ამ პრინციპებს, რაც დასტურდება ჩვენი ურთიერთობის პოზიტიური მიმართულების განვითარებითაც ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებთან. როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინგლისი, იტალია, იაპონია და სხვები. ამაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ბევრი სახელმწიფოს ლიდერებთან საბჭოთა ხელმძღვანელების ორმხრივმა შეხვედრებმა და მოლაპარაკებამ.

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში მოხდა არსებითი გარდატეხა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაზე. იგი უმთავრესად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრების შედეგებზე. ამ შეხვედრებზე მიღწეული შეთანხმებანი და ხელშეკრულებანი კარგად არის ცნობილი. უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე ახალ შეთანხმებას, რომელიც მიღწეულია ვლადივოსტოკში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის მოლაპარაკების შედეგად.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში არის მთელი რიგი ხორთულებიც. ეს ხორთულები მნიშვნელოვანწილად იმით ახსნება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობენ გავლენიანი ძალები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ ამ ურთიერთობის გაუმჯობესებას. ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობა ჯერ კიდევ ნორმალიზებული არ არის იმ ცდების გამო, რომ სსრ კავშირის მიმართ გამოიყენონ ეკონომიური და სავაჭრო ხაქმეების წარმოების დისკრიმინაციული პრაქტიკა. საბჭოთა კავშირში ფიქრობენ, რომ გაუქმდება სსრ კავშირის მიმართ დისკრიმინაციული დებულებანი ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო-საკრედიტო კანონმდებლობაში და ორი სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობას ჯანსაღი ბაზა შეექმნება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, რომ ბოლო დროს რაიმე ცვლილებანი არ მომხდარა ჩინეთთან სსრ კავშირის ურთიერთობაში. ჩინეთის მაოისტური ხელმძღვანელობა კვლავ მტრულ კურსს ახორციელებს საბჭოთა კავშირისა და სხვა მეძმე სოციალისტური ქვეყნების, ისევე, როგორც ყველა მეძმე პარტიის მიმართ, რომლებიც პრინციპულ მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებზე დგანან. თავიანთ საგარეო პოლიტიკაში მაოისტები უკვე დიდ ხანია შეეკვრნენ უკიდურეს იმპერიალისტურ რეაქციას. საბჭოთა კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობს სკკპ XXIV ყრილობის მიერ განსაზღვრული პრინციპული ხაზით, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებით, დღენიადაგ ესწრაფვის, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს. ჩვენ მზადა ვართ აღვადგინოთ მეგობრობა და თანამშრომლობა ჩინელ ხალხთან, რომლის მომართ საბჭოთა ადამიანები მუდამ იყვნენ და არიან განწყობილნი გულწრფელი პატივისცემით.

საბჭოთა კავშირი დიდ უურადღებას უთმობს აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის განვითარებად, მეუმხრობელ ქვეყნებთან ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. ასეთი კურსი, ფართოდ განვითარებული ურთიერთობის თვალსაჩინო მაგალითია სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა, რომელიც დიდ დადებით ზემოქმედებას ახდენს აზიის ვითარებაზე, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაზე.

საბჭოთა კავშირი ძალღონეს არ იშურებს, რათა პოლიტიკური დაძაბულობის შენელება განმტკიცდეს საშინაო დარგში და დაძაბულობის შენელებით და გამოყენებულ იქნას შეიარაღების შესამცირებლად და-განიარაღებისათვის საჭირძოველად, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობებიან საფუძველზე. ყოველგვარი დისკრიმინაციისა და საშინაო საქმეებში ჩარევის გარეშე ყველა ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობის განავითარებლად.

ამასთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ ომის, რეაქციის, აგრესიის ძალები კვლავ ცდილობენ ძირი გამოუთხარონ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებს. ისინი აჩქარებენ გამალებულ შეიარაღებას, ეწინააღმდეგებიან არსებული საერთაშორისო კრიზისების ლიკვიდაციას, ხშირ ქვეყნების საშინაო საქმეებში უხეში ჩარევით ცდილობენ ჩაშლონ ხალხთა ბრძოლა თავისუფლების და დემოკრატიისათვის, ხალხი გაუტეხონ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას.

იმპერიალისტური, რეაქციული ძალები ცილისწამებისა და ხიძულვილის გაავფრებულ კამპანიას ეწევიან ხაბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის მეძმე ქვეყნების წინააღმდეგ, თანამედროვეობის მთელი რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობების წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხახელმწიფო კვლავაც ფიზიზლად ადევნებენ თვალს მშვიდობის მტრებია ხრიკებს, მტკიცედ და გადაკრით დიცავენ საბჭოთა ხალხის ინტერესებს, ხალხთა საყოველთაო მშვიდობისა და თავისუფლების ინტერესებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ „მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე საერთაშორისო ურთიერთობის გარდაქმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და კვლავაც უნდა შეასრულოს სხვადასხვა ქვეყნის ხელმძღვანელი პოლიტიკურ მოღვაწეთა რეგულარულმა შეხვედრებმა, მათ შორის უმაღლესი დონის ორმხრივმა და მრავალმხრივმა მოლაპარაკებამ“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა თანმიმდევრულად კლასობრივი, ლენინური პოლიტიკაა, რომელიც შეესაბამება მთელი მშრომელი კაცობრიობის მისწრაფებებს. „შეეკმნათ მსოფლიოში ისეთი კლიმატი, როცა პოტენციური აგრესორები, ავანტიურებისა და იარაღის ჟღარუნის მოყვარულნი ხალხების სულ უფრო მტკიცე და საყოველთაო წინააღმდეგობას წაწყდებიან, რომლის დროს მშვიდობა, უშიშროება და მშვიდობიანი მომავლის რწმენა ნამდვილად გახდება სულ უფრო ფართო მასების მონაპოვარი დედამიწის სხვადასხვა რაიონში, — აი მიზანი, რომელიც იმის ღირსია, რომ მას მთელი ძალღონე მოახმაროს თვითეულმა, ვისაც უყვარს თავისი ხალხი და კაცობრიობის პროგრესზე ფიქრობს“, — განაცხადა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, რითაც გამოხატა ჩვენი პარტიისა და ხალხის ერთსულოვანი ნება.

სსრ კავშირის მთელი საგარეოპოლიტიკური საქმიანობა მტკიცედ დაკავშირებულია საბჭოთა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებასა და წარმატებებთან. გამოხატავს რა სოციალიზმის ბუნებასა და მის დიად მიზნებს, იგი ხელს უწყობს მსოფლიოს ხალხთა უფართოესი მასების შეგნებაში კაპიტალისტურთან შედარებით სოციალისტური წყობილების ძირეულ უპირატესობათა გაგებას. ეს უპირატესობანი განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდებიან კაპიტალისტურ სამყაროში ახლანდელი ეკონომიური კრიზისისა და სხვა შერყევების ფონზე.

საბჭოთა კავშირისა და მეძმე ქვეყნების მშრომელები სამართლიანად ამაყობენ მსოფლიო სოციალიზმის წარმატებებით, რევოლუციური ძალების განუხრელი ზრდით, დიდი მიღწევებით მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში. ჩვენი მოკავშირეები და მეგობრები მთელ პლანეტაზე აღფრთოვანებულნი არიან საბჭოთა ხუთწლედების შედეგებით, სსრ კავშირის გეგმიანი ეკონომიკის მიღწევებით, კომუნიზმის იდეალებისადმი საბჭოთა ხალხის ერთგულებით, რაც ყველა მშრომელი ადამიანისათვის შთაგონების მაგალითია.

ჩვენი ხალხის დიად რევოლუციურ-გარდამქმნელ მუშაობას ხელმძღვანელობს ბრძენი კომუნისტური პარტია, მისი ლენინური შტაბი — ცენტრალური კომიტეტი და პოლიტბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლაში ჩვენი პარტია ეყრდნობა საბჭოთა ხაზოგადოების უძლეველ იდეურ-პოლიტიკურ შეკავშირებას, მძლავრ სოციალისტურ ეკონომიკას, სახელოვან სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც 30 წლის წინათ გაანადგურეს ჰიტლერული სამხედრო მანქანა. თვით ის ფაქტი, რომ აი უკვე სამი ათეული წელია საბჭოთა ხალხი ცხოვრობს და შრომობს მშვიდობიან პირობებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული მონაპოვარია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნავს: „ლენინის პარტია კვლავ სოლიდარობას უცხადებს სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლთ. იგი კვლავინდებურად ყოველ ღონეს იხმარს, რათა მტკიცედ შეაკავშიროს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე“.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაავალა პოლიტბიუროს ისევე მიზანმიმართულად და აქტიურად, როგორც აქამდე, იღვწოდეს მშვიდობის პროგრამის სრული განხორციელებისათვის, გაატაროს XXIV ყრილობის საგარეოპოლიტიკური კურსი, რომელსაც ერთსულოვნად უჭერს მხარს ხაბჭოთა ხალხი.

აღნიშნა რა მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში მოპოვებული წარმატებანი, პლენუმმა საგანგებოდ მიიჩნია, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, ყველა მუშამ, კოლმეურნემ, ინტელიგენციამ მთელი ყურადღება მიაპყრონ ხუთწლედის უკანასკნელი, დამამთავრებელი წლის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, რაც საშუალებას მოგვცემს ახალი დიდი ნაბიჯი გადავდგათ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე და კიდევ უფრო განმტკიცებს ჩვენი დიადი მშვიდობიანმოყვარე ხამშობლოს საერთაშორისო პოზიციებს.

ლენინური პარტია, ხაბჭოთა ხალხი დიდი კმაყოფილებითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ეს გადაწყვეტილებანი შთაგონებენ კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს ახალი სახელოვანი საქმეებისათვის მშვიდობის საკეთილდღეოდ, ხამშობლოს აყვავებისა და ბედნიერებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისა და სოციალისტური თანამეგობრობის ხალხების, პლანეტის ყველა ხალხის უშიშროებისათვის.

პარტია და ხალხი განახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ჩვენ ღირსეულად დავამთავრებთ მეცხრე ხუთწლედს და ხაძირკველს ჩავუყრით მომავალი მეათე ხუთწლედის წარმატებებს. საბჭოთა ადამიანები პირნათლად შეხვდებიან სკკპ XXV ყრილობას, რომელიც პარტიასა და ხალხს შეაიარაღებს ახალი აღმშენებლობითი ხაქმეების პროგრამით კომუნიზმისა და მშვიდობის ხაქმის გამარჯვებისათვის.

ხუთწლედის ფონდში

კომუნისტურ შაბათობაში თავის წვლილს შეიტანს თბილისის ხაინსტრუმენტო ქარხნის 640 მუშა-მოსამსახურე. აქ გამომშვებული იქნება 5.000 მანეთის პროდუქცია და გამომუშავებული ხელფასი გადაირიცხება ხუთწლედის ფონდში. დიაზოგება დიდალი ლიმონი და დამმბარე მასალა, კეთილმოეწყობა ქარხნის ტერიტორია, სპორტული მოედნები.

* * *

ხურათზე: ქარხნის კომუნისტური შაბათობის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.
ხ. კილაძის ფოტო.

ქალაქ კიმბერლიოვის სრულიად საკავშირო კინოფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ამ ბოლო დროს საბჭოთა კინემატოგრაფისტებმა შექმნეს კინოხელოვნების მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებიც ეხმარებიან პარტიას კომუნისტური აღზრდის საქმეში, ჩვენი იდეური და ზნეობრივი ღირებულებების, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი პრინციპების დამკვიდრებაში.

კინოს მოღვაწეები განსამტკიცებენ კავშირს ხალხის ცხოვრებასთან, ცდილობენ ეკრანზე ასახონ მსოფლიოს სოციალისტურ გარდაქმნაში მოპოვებული წარმატებანი.

კინემატოგრაფის მასობრივობა, ადამიანის სულიერ და ეროვნულ სამყაროზე მისი ზემოქმედების უნივერსალობა კინოს აქცევს საზოგადოებრივი განვითარების გავლენიან ძალად. პარტია დაინტერესებულია იმით, რომ ეს ძალა სულ უფრო აქტიურად გამოვიყენოთ კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ჩვენი საზოგადოების რევოლუციური სიახლე და ისტორიული ახალგაზრდობა კინომუშაკებისაგან მოითხოვს შემოქმედებითს ინიციატივასა და გამბედაობას სინამდვილისა და მისი განვითარების პერსპექტივების მხატვრულ ათვისებაში.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც წარმატებით წყვეტენ სკკპ XXIV ყრილობაზე დასახულ ამოცანებს, კინომუშაკებისაგან მოელიან ნაწარმოებებს, რომლებიც ნიჭიერად და შთაგონებით ასახავენ ჩვენი ხალხის გმირული შრომის ატმოსფეროს.

ისისათვის, რომ ცხოვრების მოთხოვნათა დონეზე იყონ, რომ არ ჩამორჩნენ ჩვენი მაყურებლების მზარდ სულიერ მოთხოვნილებებს, კინომოღვაწეებმა უფრო გადაჭრით უნდა იბრძოლონ მთელი კინოხელოვნების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებისათვის, თვითეული კინონაწარმოების მაღალი დონისათვის.

სრულიად საკავშირო კინოფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს, მწერლებს, რეჟისორებს, მსახიობებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, ყველა საბჭოთა კინემატოგრაფისტს სულიერ და გულით ვუსურვებ დიდ წარმატებებს კეთილშობილურ შემოქმედებითს შრომაში საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის მაღალი იდეალების საკეთილდღეოდ.

ლ. ბრეჟნევი.

სამლეკ ნორროლომ სიანუკს,
სახელმწიფოს მეთაურს, კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტის თავმჯდომარეს

სამლეკ ჯენ ნუფს,
კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს თავმჯდომარეს, კამბოჯის ეროვნული ერთიანობის სამეფო მთავრობის პრემიერ-მინისტრს

ძხიეუ სამფანს,
კამბოჯის ეროვნული ერთიანი ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, კამბოჯის ეროვნული განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს

ეროვნული განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს

ხალკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით თქვენ და თქვენი სახით კამბოჯელ ხალხს მხურვალედ გეოლოცავთ შესანიშნავი გამარჯვების — კამბოჯის დედაქალაქის ანობამენის გათავისუფლების გამო. ამ გამარჯვებას, რომელსაც კამბოჯის პატრიოტულ ძალებმა მიაღწიეს ეროვნული ერთიანი ფრონტისა და კამბოჯის ეროვნული ერთიანობის სამეფო მთავრობის ხელმძღვანელობით, ყველა საბჭოთა ადამიანი უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა. იგი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია კამბოჯელი ხალხის საბართლიანი საქმის სრული გამარჯვების გზაზე.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ერთგულად იცავს ინტერნაციონალიზმისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებთან სოლიდარობის პრინციპებს, ყოველთვის უჭერდა მხარს კამბოჯელ პატრიოტებს, კამბოჯის ეროვნულ ერთიან ფრონტსა და ეროვნული ერთიანობის სამეფო მთავრობას. საბჭოთა კავშირი კვლავაც განავითარებს ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობასა და ნაყოფიერ თანამშრომლობას ჩვენს ქვეყნებს შორის, მხარს დაუჭერს კამბოჯელი ხალხის ღონისძიებებს, მეგიობრული, დამოუკიდებელი, ნეიტრალური, დემოკრატიული და აყვავებული კამბოჯის მშენებლობისათვის.

ლ. ბრეჟნევი ნ. პოდგორნი ა. კოსიგინი

მოსკოვი, კრემლი. 1975 წლის 18 აპრილი.

PRAVDA
18 აპრილის მოწინავე

КОМУНИСТИЧЕСКИЙ ПРАЗДНИК ВСЕГО ЧЕЛОВЕЧЕСТВА

Великий Октябрь, Великая Победа, XXV съезд КПСС — вехи на пути к коммунизму. Ленинская партия, ее Центральный комитет, Политбюро, Генеральный секретарь ЦК КПСС, Председатель Президиума Верховного Совета СССР, Председатель Совета министров СССР, Генеральный секретарь ЦК КП Грузии, Председатель Президиума Верховного Совета Грузинской ССР, Председатель Совета министров Грузинской ССР, Первый секретарь Тбилисского горкома КП Грузии, Председатель Тбилисского горисполкома, Первый секретарь Тбилисского горкома комсомола, Председатель Тбилисского горсовета профсоюзов, Председатель Тбилисского горсовета ветеранов войны, Председатель Тбилисского горсовета женщин, Председатель Тбилисского горсовета молодежи, Председатель Тбилисского горсовета физкультуры и спорта, Председатель Тбилисского горсовета ветеранов труда, Председатель Тбилисского горсовета инвалид

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მიზანი: ხუთწლედის მიჯნები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე განხილეს ხუთწლედის მიმდინარე დამამთავრებელი წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მუშაობის შედეგები.

სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ს. მიქელაძემ.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი რ. ხ. კონცელიძე, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი შ. ა. ანანიაშვილი, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი მ. კ. მაღლაძე, „საქმეკვზმრეწვის“ საგეგმო განყოფილების უფროსი შ. ი. ლობერძნიძე, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ი. მანჯგალაძე, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენი“ უფროსი შ. ე. ბერხრაშვილი, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე შ. ა. კეკნაძე, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრი ვ. ა. პატარაშვილი. მათ ილაპარაკეს იმაზე, თუ რა გზით აპირებენ ამ სამინისტროებისა და უწყებების კოლექტივები, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, მიაღწიონ არა მარტო მოლიანად მიმდინარე წლის გეგმის უფრო შესრულებას, არამედ ზოგგვმითი პროდუქციის გამოშვებასაც, რათა ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში დაშვებული ჩამორჩენა დაძლიონ და მიაღწიონ საკონტროლო ციფრების დონეს.

აღინიშნა, რომ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე, 27 მარტს შესრულეს მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების კვარტალური გეგმა. რეალიზებული პროდუქციის მოცულობის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 102,7 პროცენტით. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1974 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 9,9 პროცენტით. პროდუქციის საშუალო სადღეღამისო გამოშვება გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით გაიზარდა 8,2 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია სამრეწველო პროდუქციის საერთო მატების 82,8 პროცენტი.

რეალიზაციისა და სამრეწველო წარმოების კვარტალური გეგმის შესრულებაში დადებით შედეგებს მიაღწიეს აფხაზეთის სსრ, აჭარის სსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, ქალაქებმა თბილისმა, ქუთაისმა, რუსთავმა და სხვ.

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის პირველი კვარტალის დავალება მთლიანად და გადაჭარბებით შესრულეს ელექტროენერგეტიკის, სამობილი და ქვანახშირის მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა და სხვ.

რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მარანდელთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით თესავენ საგაზაფხულო კულტურებს. 1975 წლის 7 აპრილისათვის საგაზაფხულო კულტურები დათესა 76,9 ათას ჰექტარზე, რაც 6,9 ათასი ჰექტარით მეტია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში იყო. უკეთესად მიმდინარეობს მარცვლეულისა და სამარცვლე პარკოსნების (სიმინდის გარდა), ხორბლის, სამარცვლე მზესუმზრისა, კარტოფილის თესვა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა ნამატი და შემცირდა ყველა სახეობის პირუტყვის გაწყდომა. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. გადაჭარბებითაა შესრულებული პირუტყვისა და ფრინველის სახელმწიფო შესყიდვის კვარტალური გეგმები.

საერთო სარგებლობის სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტმა, საავტომობილო ტრანსპორტმა წარმატებით გაართვეს თავი ტვირთბოდვისა და მგზავრთა გადაყვანის გეგმას.

შესრულებულია მთელი რიგი მეცნიერულ-ტექნიკური ღონისძიებანი. სატყეო და ხისდამამუშავებელ, მსუბუქ, კვების, ხორცისა და რძის, მრეწველობის სხვა დარგებში დაინერგა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები.

მთლიანად რესპუბლიკაში 10 პროცენტის გადაჭარბებითაა შესრულებული საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის კვარტალური გეგმა.

საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაში ჩამორჩენა დაძლიეს სახელმწიფო ვაჭრობამ და სამომხმარებლო კოოპერაციამ. პირველი კვარტალის გეგმის შესრულება უზრუნველყვეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოსახერხებლების საწარმოებმაც.

ამასთან სხდომაზე აღინიშნა, რომ გეგმის შესრულების დროს იყო სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის კვარტალური დავალება არ შეასრულებია საწარმოთა საერთო რიცხვის 9,5 პროცენტს. მათ სახალხო მეურნეობას დააკლეს 13,8 მილიონი მანეთის პროდუქცია. ყველაზე მეტი საწარმო, რომლებმაც ვერ შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის გეგმა, აქვს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობას, მშენებლობას, სასოფლო მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებს.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ წარმოების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების დროს არადამაკმაყოფილოდ ლ ა დ დაამთავრა სამეურნეო საქმიანობა პირველ კვარტალში თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკამ, რომელმაც ვერც ერთი მაჩვენებლის მიხედვით ვერ შეასრულა დავალება. ამ ბოლო დროს ფაბრიკაში დაქვეითდა წარმოებისა და შრომის დისციპლინა, მოიმატა კვალიფიციური კადრების დენადობამ. ნორთისა და ქსოვილის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულეს გორის ბამბეულის კომბინატმა, შალის ნართის გამოშვებისა — ცხაკაიას ხალიჩის კომბინატმა, თბილისის უქსოვი მასალების ფაბრიკამ, ქუთაისის მაუდის ფაბრიკამ, თბილისის კამვოლ-სართავმა ფაბრიკამ.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები სისტემატურად ვერ ასრულებენ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის, მათ შორის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოების დავალებებს.

ღორეულებითი და ნატურალური გამოხატულებით საგეგმო მაჩვენებლების შესრულების დროს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანამ გაიზარდა რეკლამაციების რიცხვი.

ჯერ კიდევ არ დაძლეულა ჩამორჩენა და კვლავ დაძაბული მდგომარეობაა საქართველოს საყოფაცხოვრებო ქიმიის ფირმაში. პროდუქციის რეალიზაციის კვარტალური გეგმა ფირმამ შეასრულა 90 პროცენტით, თუმცა იგი 1974 წლის მეოთხე კვარტალში ფირმის მიერ მიღწეულ დონეზე დაბალი იყო.

მანქანათსაშენებელი საწარმოებიდან ჩამორჩენენ ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელი ქარხანა, ხოლო რეალიზებული პროდუქციის მხრივ — თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანა და სოხუმის ხელსაწყოთსაშენებელი ქარხანა.

სამინისტროები და უწყებები, საწარმოო გაერთიანებანი და საწარმოები ნაკლებად ზრუნავენ ნაწარმის ტექნიკური დონის ამაღლებისა და განახლებისათვის. ამის შედეგად ჯერ კიდევ დაბალია ხარისხის სახელმწიფოწინმშენი პროდუქციის ხვედრითი წონა.

1975 წლის პირველ კვარტალში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი შეანელეს მთელმა რიგმა საწარმოებმა, მათ შორის—ჭიათურის მანგანუმის ტრესტმა, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის, ელექტროქიმიური მრეწველობის სამინისტროების, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის, მშენებლობის სამინისტროების საწარმოებმა. მრეწველობის ცალკეულ დარგებში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის შენელების ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ზეგეგმითი სამრეწველო საწარმოო პერსონალი ჰყავთ.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების საქმიანობაში.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ამინდის ხელსაყრელი პირობების მიუხედავად, საგაზაფხულო თესვაში მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ აფხაზეთის სსრ, აჭარის სსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ლაგოდეხის, წულუკიძის, მაიაკოვსკისა და საჩხერის რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

შარშანდელთან შედარებით უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს ხეხილის, ვენახის, ჩაის პლანტაციების, ციტრუსის, ნარგავებისა და თუთის ხეების გაშენება.

პირუტყვისა და ფრინველის ხორცის დამზადების კვარტალური გეგმა ვერ შეასრულეს ბოგდანოვკის, ისპინძის, ხაშურის, დუშეთის, დმანისის, თიანეთის, ყაზბეგის, ორჯონიკიძის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. რძის შესყიდვის გეგმა ვერ შეასრულეს ქარელის, კასპის, ბორჯომის, თერჯოლისა და ხობის რაიონებმა, კვერცხისა — ისპინძის, ხაშურის, საგარეჯოს, ხობის, წალენჯიხის რაიონებმა და აფხაზეთის სსრ რესპუბლიკამ.

1975 წლის მარტში მეცხოველეობის ფერმების დათვალიერებამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონი, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ჯერ კიდევ არ უთმობს სათანადო ყურადღებას საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას, ნაკლებად ზრუნავს ჯიშიანი პირუტყვის გაუმჯობესებისათვის, პროდუქტიულობის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ჯერთვან ყურადღებას არ უთმობს საკუთარი წარმოების მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბევრ ფერმაში არ არის შექმნილი პირუტყვის ნორმალური შენახვის პირობები. უაღრესად არადამაკმაყოფილებლად ინერგება მეცხოველეობაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები. ბევრ ფერმაში არ არის მექანიზებული შრომატევადი პროცესები, სუსტად იცავენ ზოოვეტერინარულ წესებს.

კაპიტალურ მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებები ნელა აღმოიფხვრება. ძირითადი ფონდების ამოქმედების კვარტალური გეგმა მთლიანად, რესპუბლიკაში შესრულდა 85 პროცენტით. ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების გზით ამოქმედდა 52 მილიონი მანეთის ღირებულების ძირითადი ფონდები, ანუ გეგმის 97 პროცენტი. მათ შორის რესპუბლიკისადმი დაქვემდებარებულ მეურნეობაში, — მხოლოდ 87 პროცენტი. ძირითადი ფონდების ათვისების მხრივ დიდი ჩამორჩენა აქვთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოს. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

კაპიტალურ დაბანდებათა კვარტალური გეგმა შესრულდა 80 პროცენტით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა — 89 პროცენტით, რაც 1974 წლის შესაბამის პერიოდის დონეზე შესაბამისად ნაკლებია სამი და ოთხი პროცენტით. საბინაო მშენებლობაში დაბანდებათა მოცულობამ მიაღწია 87 პროცენტს, ათვისებული არ არის 4,2 მილიონი მანეთი.

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა საჯარო სამუშაოთა კვარტალური პროგრამა საკუთარი ძალებით სულ რესპუბლიკაში 99 პროცენტით შეასრულეს.

ითვალისწინებენ რა ამას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის სსრ, აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საწარმოო გაერთიანებებისა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების ხელმძღვანელებს დაავალეს განიხილონ სახალხო-სამეურნეო გეგმის 1975 წლის პირველი კვარტალის შესრულების შედეგები და თვითეულ საწარმოსა და თვითეულ მშენებლობას დაუსახონ საკირო ღონისძიებანი გეგმის შესრულების მსვლელობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა დაძლევისათვის, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სავეგმო დავალებების, სამრეწველო წარმოების მოცულობისა და ნომენკლატურის ხაზით შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას, საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედებას, შრომის ნაყოფიერებასა და მოგებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დასახეს კიდევ მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა რეალიზაცია უზრუნველყოფს წლის უმნიშვნელოვანესი სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. დ. კიკნაძე.

სხდომის შედეგები შეაჯამა გ. ვ. კოლბინმა.

სხდომაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ი. ნ. პუგაჩოვი.

(საინფორმო).

45
ეროვნული
ეკონომიკური
ეროვნული
ეროვნულ
ეროვნულ
ეროვნულ

საბჭოთა ხალხის დიადი ბრძოლა

საბჭოთა ხალხი დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30-ე წლისთავს ეგებება ჭეშმარიტად ისტორიული მიღწევებით კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, მშვიდობის, დემოკრატიისა და თავისუფლების იმ იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომლისთვისაც ხალხები ებრძოდნენ ფაშიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ.

17 აპრილს საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის წითელდროშოვან დარბაზში გაიხსნა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ეძღვნება 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვების 30-ე წლისთავს. კონფერენციაში მონაწილეობენ თავლსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები და მეცნიერები, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სამხედრო ისტორიკოსები.

კონფერენციის შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

შეკრებილთ მიესალმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. ვ. კელდიში.

მოხსენება „დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა“ გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიეიე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა პ. ნ. ფედოსეევმა.

„კომუნისტური პარტია — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“ — ასეთი მოხსენება გააკეთა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა, არმიის გენერალმა ა. ა. ეპიშევმა.

მოხსენება „საბჭოთა ეკონომიკა 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების უზრუნველყოფაში“ გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო-საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. კ. ბაიბაკოვმა.

კონფერენციაზე დიდი სამამულო ომის წლებში ახალგაზდობის გმირობაზე ილაპარაკა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. მ. ტიაჟელნიკოვმა.

საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარემ, არმიის გენერალმა პ. ი. ბატოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომიტეტს ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიაჩნია მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდათა ჰეროიკულ-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდაში პარტიული და საბჭოთა ორგანოებისათვის ქმედითი დახმარების გაწევა.

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ავიაციის მარშალი ა. ი. პოკრიშკინი შეეხო საზოგადოების საქმიანობას თავდაცვით-მასობრივი მუშაობისა და სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სპეციალისტების მომზადების საქმეში.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ: მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა სახელით — სოციალისტური შრომის გმირები ვ. ს. პავლოვსკი და ო. პ. ვოხმიანინა, საბჭოთა მეომრების სახელით — საავიაციო პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ბ. ბ. ბასისაშვი. სოციალისტური ქვეყნების დელეგაციის სახელით კონფერენციას მიესალმა პოლონეთის ჯარის პოლკოვნიკი ე. იაძიაკი.

შემდეგ დაიწყო სექციათა სხდომები

18 აპრილს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სამეცნიერო კონფერენციამ, რომელიც მიეძღვნა 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების გამარჯვების 30 წლისთავს.

ბოლო დღეს სექციების სხდომებზე საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდნენ თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერები და მხედართმთავრები.

საღამოს პლენარული სხდომაზე სექციების მუშაობის შედეგები შეჯამეს მათმა ხელმძღვანელებმა: საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა არმიის გენერალმა ა. ა. ეპიშევმა, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ, არმიის გენერალმა ვ. გ. კულიკოვმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, არმიის გენერალმა ს. კ. კურკოტკინმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ტ. ოვჩუკმა.

საბოლოოს სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ. (საკდესი).

მეგობრულ ვითარებაში

17 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კ. ტ. მაზუროვმა კრემლში მიიღო პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტ-მინისტრის სპეციალური თანამემწე ინფორმაციის საკითხებში იუსუფ ბაჩა.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-პაკისტანის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

გულწრფელი თანაგრძნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ფაჰრუდინ ალი აჰმედს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირში დიდი მწუხარების გრძნობით შეიტყეს, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ინდოეთის ყოფილი პრეზიდენტი დოქტორი სარვაპალი რადჰაკრიშნანი.

მაჰათმა განდის უახლოესი მეგობარი, ჯავაჰარლალ ნერუს ერთგული თანამებრძოლი, ს. რადჰაკრიშნანი ჩვენს ქვეყანაში დიდი პატივისცემითა და პოპულარობით სარგებლობდა.

ს. რადჰაკრიშნანმა, როცა საბჭოთა კავშირში ინდოეთის ელჩი იყო, შემდეგ კი ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი იკავა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა და ინდოელ ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარების საქმეში.

პატივცემულო ბატონო-პრეზიდენტო, მიიღეთ ჩვენი დიდი თანაგრძნობა მძიმე დანაკლისის გამო.

გთხოვთ იგრეთვე ჩვენი სამძიმარი გადასცეთ განსვენებულის ნათესავებს“.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების და საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დაბრიკეტების კომპლექსის მშენებლობაში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

ბარბაქაძე ანზორ ალექსანდრეს-ძე — „ჟიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის ელექტრომეტალურგი.

ბელაშვილი ვლადიმერ სერგოს-ძე — „ჟიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის „ზესტაფონმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მეარმატურე.

გულიაშვილი ბენია ალექსანდრეს-ძე — „ჟიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის „ბინმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მებეტონეთა ბრიგადირი.

ზაქარეიშვილი ზურაბ დომენტის-ძე — „ჟიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის „ჟიათურმშენის“ სამშენებლო სამმართველოს ხუროო.

კაპანაძე გრიგოლ მიხეილის-ძე „ჟიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის ზეინკალი.

კაპანაძე მიტუმა პორფილეს-ძე — „სამშენანომონტაჟის“ ტრესტის ქუთაისის სამონტაჟო სამმართველოს ზესტაფონის უბნის ზეინკალ-მემონტაჟე.

კახნიაშვილი თამაზ გიორგის-ძე — „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის ქუთაისის სპეციალიზებული სამონტაჟო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

კუპრაძე იორგი შალვას-ძე — „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის ქუთაისის სპეციალიზებული სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომემონტაჟე.

ლაბაძე რაულ ბარნაბის-ძე — „ჟიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის „ბინმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მემთხოვნე.

ლედიავი გიორგი ალექსის-ძე — „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის ქუთაისის სპეციალიზებული სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომემონტაჟე.

ნიქაბაძე კოკური ამბროსის-ძე — „ჟიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის „ზესტაფონმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

ხარშილაძე სანიკო სერგეის-ძე — „ჟიათურმარგანმშენის“ № 8 ტრესტის „ზესტაფონმშენის“ სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

მიენიჭოს საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის საპატიო წოდება:

ბერიოზნიას მარიამ სერგოს ასულს — „სამშენანომონტაჟის“ ტრესტის ქუთაისის სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომემონტაჟეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. კოტრიკაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ავალიანი.

თბილისი, 1975 წლის 17 აპრილი.

მინა—სიუხვის სამსახურში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც მოისმინა საკითხი მიწის დაცვისა და რაციონალური გამოყენების ანაგის სასოფლო საბჭოს ინიციატივასთან დაკავშირებით გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ.

პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა სიღნაღის რაიონის ანაგის სასოფლო საბჭოს ინიციატივის — „ყოველი ჰექტარი მიწა — სიუხვის სამსახურში“ — პასუხად მნიშვნელოვნად გააძლიერეს მუშაობა მიწის დაცვისათვის, სამეურნეო ბრუნვაში მისი მოქცევისა და რაციონალური გამოყენებისათვის. საბჭოების სესიებზე, შუამდინარე კომისიებისა და აღმასკომების სხდომებზე, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკრებებზე პერიოდულად განიხილავდნენ მიწისადმი უყირათიანი დამოკიდებულებისა და მიწის კანონმდებლობის დაცვის, მიგდებული მიწების უფრო სრული გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოქცევის საკითხებს. შემოშავებული ჰექსპერტიული გეგმებით სრულდებოდა წინათ დაუმუშავებელი მიწების სასოფლო-სამეურნეო საგრარულად გადაქცევის, ავრო-ტექნიკური ღონისძიებათა უკეთ განხორციელებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრულად გამოყენების სამუშაოები.

აღმასკომებმა და სასოფლო საბჭოების დეპუტატებმა რაიონში გამოავლინეს და აღრიცხეს 584 ჰექტარი მიწა, აქედან 483 ჰექტარი უკვე ათვისებული და დამუშავებულია. ამ მხრივ კარგად იშრომეს კარალეთის, ბერბუკის, ვარიანის, ქვაბერეულის, ტინისხიდის, მაღვრისხევისა და შაავშების მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებმა. მიწის სავარგულების შემდგომი ადიდებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით სასოფლო საბჭოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ცალკეული რგოლებსა და ბრიგადებს შორის გაეშალა სოციალისტური შეჯიბრება. სისტემატურად აჯამებენ შრომითი მეჯოლეობის შედეგებს, ავლენენ გამარჯვებულებს.

გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი დიდ ყურადღებას უთმობს მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითს მუშაობას მიწათსარგებლობის წესების დაცვის საკითხებზე. მასალები ამ საკითხებზე პერიოდულად ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელებამ ბევრად შეუწყო ხელი გასული სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებას. მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს გეგმის გადამეტებით დამზადებულია 695 ტონა ხილი, 4.239 ტონა ბოსტნეული. ვადაზე ერთი წლით ადრე შესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, რძისა და ხორცის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმები.

ამასთან ერთად პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ გორის რაიონში კვლევიდებულად არის სერიოზული ხაფანგები მიწის დაცვისა და რაციონალური გამოყენების საქმეში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ არსებულ მიწის ფონდს. ნელი ტემპით ამაღლებენ მიწათმოქმედების კულტურას, ნიადაგის დამუშავებისა და სასუქების შეტანის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის დანერგვას. ეფექტიანად არ იყენებენ სარწყავ მიწებს. მაგალითად, სოფლების ატენის, ხიდისთავის, ნიქოზის კოლმეურნეობებში 1974 წელს საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა სარწყავ ფართობებზე ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე ურწყავ მიწებზე.

არის შემთხვევები, როცა პირადი სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების ჩამოჭრა ფორმალური ხასიათისაა, რადგან მათ უწინდელი მეპატრონეები ამუშავებენ. ასევე ფორმალურად ხდება დადგენილი ნორმის გადამეტებით პირად სარგებლობაში არსებული და ამიტომ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთების გადაცემა საწარმო ბრიგადებისათვის (ხიდისთავის, ნიქოზისა და ტირძნისის მეურნეობები).

სასოფლო საბჭოები, რაიონულ ტების რაიონული საბჭოს აღმასკომი დიდ ყურადღებას უთმობს მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითს მუშაობას მიწათსარგებლობის წესების დაცვის საკითხებზე. მასალები ამ საკითხებზე პერიოდულად ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელებამ ბევრად შეუწყო ხელი გასული სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრებას. მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს გეგმის გადამეტებით დამზადებულია 695 ტონა ხილი, 4.239 ტონა ბოსტნეული. ვადაზე ერთი წლით ადრე შესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, რძისა და ხორცის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმები.

ამასთან ერთად პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ გორის რაიონში კვლევიდებულად არის სერიოზული ხაფანგები მიწის დაცვისა და რაციონალური გამოყენების საქმეში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ არსებულ მიწის ფონდს. ნელი ტემპით ამაღლებენ მიწათმოქმედების კულტურას, ნიადაგის დამუშავებისა და სასუქების შეტანის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის დანერგვას. ეფექტიანად არ იყენებენ სარწყავ მიწებს. მაგალითად, სოფლების ატენის, ხიდისთავის, ნიქოზის კოლმეურნეობებში 1974 წელს საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა სარწყავ ფართობებზე ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე ურწყავ მიწებზე.

არის შემთხვევები, როცა პირადი სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების ჩამოჭრა ფორმალური ხასიათისაა, რადგან მათ უწინდელი მეპატრონეები ამუშავებენ. ასევე ფორმალურად ხდება დადგენილი ნორმის გადამეტებით პირად სარგებლობაში არსებული და ამიტომ ჩამორთმეული მიწის ნაკვეთების გადაცემა საწარმო ბრიგადებისათვის (ხიდისთავის, ნიქოზისა და ტირძნისის მეურნეობები).

სასოფლო საბჭოები, რაიონულ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყოველთვის როდი იცავენ შედასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტით გათვალისწინებულ ნორმებს და ინდივიდუალური მშენებლობისათვის გამოყოფილ ნაყოფიერი მიწის ნაკვეთებს (დიცის, ტყვავის, მერეთის, შინდისისა და ვარიანის სასოფლო საბჭოები). ამ გზით ხდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირება. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სახნავი მიწების ფართობი რაიონში 170 ჰექტარით შემცირდა.

ბოშურის, საყავრის, მღვრიანის, ზეღდულეთის სასოფლო საბჭოებს აღმასკომების სესიებზე, შუამდგი კომისიების სხდომებზე არ განუხილავთ ანაგელთა ინიციატივასთან დაკავშირებული საკითხები და არ განუხორციელებიათ შესაბამისი მუშაობა ამ მიმართულებით. რაც შეეხება მერეთისა და შინდისის სასოფლო საბჭოებს, თუმცა კი განიხილეს ანაგელთა ინიციატივა, მაგრამ არ დაინტერესებულან ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებით.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სათანადო კონტროლს არ უწევენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების მიერ მიწის დაცვასა და რაციონალურ გამოყენებას.

პრეზიდიუმის სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიათა რეკომენდაციები რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებში. აღინიშნა, რომ ამ ბოლო დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებების შესაბამისად რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროები დიდ ყურადღებას უთმობენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიათა რეკომენდაციებს. ეს ეხება ამ სამინისტროების დასახვა სამმართველოსა და ყოფილებებში, რაც ართულებს მიღებულ რეკომენდაციათა წარმოდგენა-შესრულებას, ეფექტიანი მეთოდების ... კონტროლისა და მეთვალყურეობის საქმეს.

[illegible] ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

კიშინიოვის დიდი ეკრანი

გაიხსნა VIII საკავშირო კინოფესტივალი

საბჭოთა მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვში 18 აპრილს სიზეიმოდ გაიხსნა VIII საკავშირო კინოფესტივალი, რომელიც 24 აპრილამდე გასტანს.

შარშან საბჭოთა კინოს შემოქმედებითი მუშაკები თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით იმისთვის იღვწოდნენ, რომ განეხორციელებინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება „საბჭოთა კინომატოგრაფიის შემდგომი განვითარების შესახებ", სადაც სხვა პრობლემურ საკითხებთან ერთად ერთ-ერთი მთავარ ამოცანად დასმული იყო ჩვენი ფილმების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლება.

მოკა ორო, და 24 აპრილს ფესტივალის ავტორიტეტული ჟიური თავის სიტყვას იტყვის — ლაურეატებს დაასახელებს, მაგრამ დღესდღეობით დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ კავშირის ბევრი სტუდია ფესტივალზე მნიშვნელოვან კინონაწარმოებებს წარმოადგენს. კონკურსზე დაშვებულ ფილმებს შორის არის „მიწის არჩევანი", „მიწიერი სიყვარული", „გახსოვდეს სახელი ენა" — კინოსტუდია „მოსფილმი", „ორშემა" — „ლენფილმი", „უკანასკნელი შეხვედრა" — მ. გორკის სახელობის კინოსტუდია, „ოერთი ყაბალახი" — ა. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდია, ორსერიანი მხატვრული ფილმი „ცეცხლი", რომელიც ბელორუსმა კინემატოგრაფისტებმა შექმნეს, და ისტორიული ფილმი „აბუ რეიხან ბირუნი", რომელიც კინოსტუდია „უზბეკფილმმა" გადაიღო.

კონკურსში მონაწილეობას მიიღებს 20-ზე მეტი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, აგრეთვე სპეციალურად მოზარდი თაობისათვის განკუთვნილი ფილმები.

კინოსტუდია „ქართული ფილმი" ფესტივალზე წარსდგება შემდეგი საკონკურსო ფილმებით: „ივანე კოტორაშვილის ამბავი", (რეჟისორი ნ. მანგასარიანი, ოპერატორი ი. ამასიანი), ერთნაწილიანი მულტიპლიკაციური ფილმი „ჯადოსნური კვერცხი", (რეჟისორები და სცენარის ავტორები ი. ქოჩაკიძე, ა. სლოვნინი, ი. ჩიკვაიძე, ოპერატორი ლ. კეკალიაშვილი).

კინოკურსგარეშე ნაჩვენები იქნება კინოალმანახი „შობლიური ხეების ჩრდილქვეშ", რომელიც სამი ნოველისაგან შედგება: „ფერმა მთაში" (რეჟისორი ლ. ელიავა, ოპერატორი დ. სხირტლაძე), „ძაღლი" (რეჟისორი ლ. გორდელაძე, ოპერატორი ა. რეხვიაშვილი), „წყარო გზის პირას" (რეჟისორი თ. ფალავანდიშვილი, ოპერატორი დ. მარგიევი).

საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია კინკურსზე მონაწილეობას მიიღებს შემდეგი ფილმებით: სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ლადო გუდიაშვილი" (რეჟისორი შ. შონია, ოპერატორი თ. ბოხონელიძე), კინოპოემა „კაცობრობის გახდეფული" (რეჟისორი გ. ასათიანი, ოპერატორი ი. ბარამიძე), დოკუმენტური ფილმი „მონოლოგები პროფესიაზე" (რეჟისორი ო. გურგენიძე, ოპერატორი ტ. ელიაშვილი).

კინოფესტივალში მონაწილეობს ქართული კინემატოგრაფისტების დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შ. ქუთათელაძე.

მაშ ასე, ყურადღების ცენტრშია კიშინიოვის დიდი საფესტივალო კინოეკრანი.

ა. გველესიანი.

ᲐᲛᲜᲐᲗᲝᲕᲘ ᲑᲐᲨᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲚᲔᲑᲐ

საჩხერე. (საკ. კორ.). გაზეთ „კომუნისტში" დაბეჭდილი წერილიდან შეიტყეს საჩხერის ოკ. წერეთლის სახელობის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, რომ ბამის მშენებლობაზე სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად მუშაობს საჩხერელი მძღოლი ილია ჩუბინიძე. იგი წარჩინებული მშრომელია.

სკოლის მეექვსე-მეორე კლასის (ხელმძღვანელი ლ. კუპაშვილი) პიონერებმა ბარათი და ამანათი გაუგზავნეს თანამემამულეს. მოსწავლეებმა სთხოვეს ი. ჩუბინიძეს მოეწერა საინტერესო ამბები ბამის მშენებლობაზე.

მეექვსეკლასელებს სხვა მოსწავლეებმაც მიბაძეს. ბამის ქართველ მშენებლებს საჩხერელი პიონერების ამანათები და წერილები გაეგზავნა.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ამ დღეებში ომგადასდილ ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი ეტუდრა თბილისის სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებების დაცვის მილიციის ქვეგანაყოფის პირად შემადგენლობას. საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში გამარჯვების შესახებ შეერბილთ ესაუბრა გადამდგარი გენერალი გ. ყურაშვილი, თავისი საბრძოლო ეპიზოდები მოიგონა საბჭოთა კავშირის გმირმა გ. ინასარიძემ.

მილიციის მუშაკებმა გულისყურით მოისმინეს ომგადახდილი ქართველი მწერლების — ვ. გორგანელის, თ. ჯანგულაშვილის, ვ. ურუმელაშვილის, ლ. სულაბერიძის სიტყვები და ფრონტული ლექსები. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პოეტებმა მ. ქელეხსაძემ და ს. ნარიმანიძემ. („კომ."კორ.).

ᲛᲝᲛᲘᲒᲝ „ᲥᲘᲒᲣᲚᲘ"

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის პენსიონერმა მეშახტემ ი. ჭაფოძემ 1975 წლის ფულისა და ნივთების მესამე გამოშვების ლატარიის 44689 სერიის № 315 ბილეთით მოიგო მსუბუქი ავტომობილი „ქიგული" — 2101".

ПРАВДА
ТБИЛИСИ

ᲡᲢᲐᲘᲔᲠᲗᲐ ᲡᲢᲐᲠᲢᲘᲡ წინ

● ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝ-Ე ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲔᲭᲓᲕᲘᲗᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲔᲫᲚᲕᲘᲡᲔᲑᲐ ● ᲩᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲠᲔᲛᲔᲑᲐ ᲑᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ? ● ᲘᲐᲛᲝᲓᲠᲝᲛᲝᲕᲘ ᲡᲢᲣᲓᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲚᲘᲡ ● ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲗ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲠᲘᲗ

ᲔᲠᲗᲘᲗ დღე გვაშორებს დიდ სტარტებს — მძღოლთსნური კროსის დასკვნით ეტაპს გაზეთ „პრავდის" ჟურნალზე მეთოთხმეტე გაზაფხულს ითვლის. ეს მასობრივი შეჯიბრება, რომელიც ჩვენი ქვეყნის თითქმის ყოველ კუთხეს მოიცავს და მილიონობით სპორტსმენს იზიდავს. მის სიდიადეზე მეტყველებს ისიც, რომ წელს „პრავდის" პრიზებთან ერთად თბილისში პირველად გათამამდება საკავშირო ჩემპიონატი კროსში რადიოენმე დისტანციაზე. მძღოლთანა ეს ფორუმი მიძღვნილია დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი, აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი და ეწყობა დევიზით — „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის".

როგორც ცნობილია, კროსის ფინალები გაიმართება 20 აპრილს თბილისის იპოდრომზე. სწორედ აქ გადასცემენ გამარჯვებულებს „პრავდის" პრიზებს, ჩემპიონატის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს, სხვადასხვა ჯილდოებს. ადრინდელ იპოდრომს დღეს ვეღარ იცნობთ. საქმე მარტო ის როდია, რომ კროსის ბილიკები სრულ წესრიგშია მოყვანილი თავიანთი სტარტებით და ფინიშებით, მსაჯთა სათვალთვალოებით, არამედ ისიც, რომ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებენ იპოდრომის ნაგებობანი, დამშვენებული ლოზუნგებითა და პლაკატებით. ტრიბუნის წინ აღმართულია რესპუბლიკათა სახელმწიფო ალმები, ბერრები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სტუმართა მიღება-მომსახურება, წვრილი პირობების შექმნა. მათი რიცხვი 2.000-ს მიაღწევს. შეჯიბრებას 200-მდე მსაჯი მოეფინება ცხადყო, რომ საქართველოს სპორტსმენები ამჯერად ბევრად უკეთესად არიან მომზადებული, და მაჩვენებლებიც უკეთესი უნდა იყოს.

სტუმართა დიდი ნაწილი თბილისში გუშინ ჩამოვიდა. ლამაზად მორთულია რკინიგზის სადგური, ავროპორტი, შეფები და ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები გულთბილ შეხვედრას უწყობენ სპორტსმენებს, მეგობრული განწყობილება სუფევს.

ᲨᲔᲓᲠᲐᲙᲘ

ᲒᲘᲞᲡᲚᲘᲡᲘ — ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

ᲛᲠᲗᲘᲜᲘᲩᲘᲐ-ᲑᲐᲜᲘᲐ. (ტელეფონით). ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც მონაწილეობს ნონა გაფრინდაშვილი, გაიმართა მე-7, ტური.

ნ. გაფრინდაშვილი შეხვდა ტურნირის ლიდერს, იუგოსლავიელ მარტინოვიჩს. პარტია გადაიდო თანაბარ პოზიციაში.

როგელმა დიდოსტატმა გიპსლისმა დაამარცხა იუგოსლავიელი ოსტოიჩი.

7 ტურის შემდეგ ტურნირის ერთბაოროვნული ლიდერია გიპსლისი — 5 ქულა. 4 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს მარტინოვიჩს.

მორიგ, მე-8 ტურში გაფრინდაშვილი ხვდება ერთ-ერთ ლიდერს ვადაშს (უნგრეთი). გიპსლისი — კნეჭევიჩს (იუგოსლავია).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის პირველ ტურში ახალგაზრდა დებიუტანტებმა — აბარის ჩემპიონმა გოგიტაძემ და აფხაზეთის ჩემპიონმა ჯობავამ, შესაბამისად დაამარცხეს საერთაშორისო ოსტატი მაია ჩიბურდანიძე და ცქიტიშვილი.

ბოკუჩავა-მიქაძის, ლომაია-ბუსლაევის, ბიბილაშვილ-გედევანიშვილის, ჩიკოვან-ჩახოიანისა და ჯაკელაშვილ-მზარეულას პარტიები ყაიმით დამთავრდა. სტურუა-ეკვთიმიშვილისა და მენაბდე-ტუშოვსკის პარტიები გადაიდო

მეორე ტურში ლომაიამ მოუგო ჯობავას, ბუსლაევმა — გოგიტაძეს. ყაიმზე შეთანხმდნენ ბაკელაშვილი-ბიბილაშვილი, ბოკუჩავა-ჩახოიანი და მზარეულა-ჩიბურდანიძე. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ორი ტურის შემდეგ 1,5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ ოსტატები ბუსლაევი და ლომაია 70 წლამდე. მონაწილეთა პარადი და აღმის აღმართვა დილის 9 საათზე შედგება. იპოდრომიდან ლენინის მოედნისაკენ გაეგზავნება ჯავშანტრანსპორტიორი მოძმე რესპუბლიკათა წარმომადგენლებით, ოთხძლეული გვირგვინებით შეამკობენ ვ. ი. ლენინის ძეგლს.

თუ გადავავლებთ თვალს წინა კროსების შედეგებს, პირველ რიგში თვალში გვხვდება რსფსრ-ის სპორტსმენთა წარმატება. მათ ამ შეჯიბრებაში 12-ჯერ მოიპოვეს გუნდური პირველობა და მხოლოდ ერთხელ დაიკავეს მეორე ადგილი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ისინი წელსაც შეეცდებიან ტრადიციას არ უღალატონ. საპრიზო ადგილების მთავარი პრეტენდენტები არიან ავრეთვე უკრაინის, მოსკოვის, ლიტვისა და ყაზახეთის გუნდები.

წლევანდელმა რესპუბლიკურმა შეჯიბრებამ და მისმა შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოს სპორტსმენები ამჯერად ბევრად უკეთესად არიან მომზადებული, და მაჩვენებლებიც უკეთესი უნდა იყოს.

სტუმართა დიდი ნაწილი თბილისში გუშინ ჩამოვიდა. ლამაზად მორთულია რკინიგზის სადგური, ავროპორტი, შეფები და ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები გულთბილ შეხვედრას უწყობენ სპორტსმენებს, მეგობრული განწყობილება სუფევს.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲘ

ᲛᲔᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲔᲓ!

საბჭოთა ჭოკეისტებმა მეორე წრის მატჩშიც დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელები — 4:1. ... მსოფლიოსა და ევროპის ... ონების ოქროს მედლები მოიპოვეს ვადაზე ადრე (დარჩა ... გუნდი შეხვდება შვეიცარიელ ... რებს). საბჭოთა ნაკრებმა მეთოთხმეტედ მოიპოვა მსოფლიოში უძლიერესის სახელი.

ფინეთის ნაკრებმა დაამარცხა შვეიცის გუნდი — 2:1. ამ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბრინჯაოს მედლებისათვის ბრძოლაში.

ᲕᲔᲚᲝᲠᲑᲝᲚᲐ

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲓᲦᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ

სოხუმი-ზუგდიდი-ქუთაისი-ბათუმი-სამტრედია-ხაშური-თბილისი-წითელი ხიდი-თბილისი — ასეთი იყო საქართველოს მრავალდღიანი ტრადიციული ველორბოლის მარშრუტი, რომელიც ათასამდე კილომეტრს შეადგენდა.

საქართველოს სპორტსაზოგადოებების — „დინამოს", „ბურევესტნიკის", „სპარტაკის", „განთიადის", არმიის სპორტული კლუბის ველომრბოლებთან ერთად ამ საინტერესო ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სომხეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, ესტონეთის, ქალაქების ქუთაისისა და ლოძის (პოლონეთი) გუნდები.

თავდაპირველად დაწინაურდა ბურევესტნიკელი ა. ხომუტოვი, მეოთხე ეტაპიდან კი ლიდერობა ხელთ იგდო ლიტველმა ა. ვაიტკუსმა და იგი ბოლომდე ხელიდან არ გაუშვია. გამარჯვებულის დროა 22 საათი, 59 წუთი და 20 წამი.

გუნდურ ჩათვლაში გიმარჯვა აგრეთვე ლიტვის პირველმა კოლექტივმა — 68:59,25.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲔᲓᲜᲔᲑᲖᲔ

მოსკოვი. უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მატჩში 17 აპრილს დედაქალაქის „ტორპედომ" ლუჟნიკში დაამარცხა ეროშილოვგრადის „ზარია" — 2:1.

გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: **ლონდონს** „უემბლის" სტადიონზე ინგლისის ნაკრებმა მოუგო კვიპროსის გუნდს — 5:0. ხუთივე ბურთი გაიტანა მაკდონალდმა („ნიუკასლ იუნაიტედი"). **ბუდაპეშტში** უელსის ნაკრებმა სძლია უნგრეთის გუნდს — 2:1; **ბელფასტში** ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდმა — იუგოსლავიის ნაკრებს — 1:0, **ზოლო მადრიდში** ესპანეთის ნაკრებმა ფრედ — 1:1 თამაშა რუმინეთის გუნდთან.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝᲡ" ᲢᲘᲠᲐᲟᲘ

ᲐᲘ 16 აპრილს მოსკოვში გამართული „სპორტლოტო" და „სპორტლოტო-2"-ის ტირაჟის შედეგები:

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ" — 18 (რიტაფელა), 33 (რეგბი), 25 (ტრამპლინიდან ხტომა), 9 (ცხოდაობა), 49 (ბაში), 24 (თხილამურები).

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ-2" — 37 (სროლა), 11 (ველოსპორტი), 9 (ცხოდაობა), 40 (ტურიზმი), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 20 (ბიდარკები და კანოე). (საკადესი).

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა-საბჭომ ამხ. ი. თ. ჭოკუა დანიშნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ.

Ი. ᲛᲔᲡᲮᲘ



გარდაიცვალა სკკპ წევრი 1944 წლიდან, საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი, სოციალისტური დაგეგმვის გამორჩეული ვეტერანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის შრომის ნაყოფიერების, ხელფასისა და შრომითი რესურსების განყოფილების უფროსი **ირაკლი სერგის-ძე მესხი.**

იგი დაიბადა 1901 წელს ქალაქ ლენინიაკანში, რკინიგზელი ექიმის ოჯახში. 1920 წელს დაამთავრა ქართული გიმნაზია. და იმავე წელს ჩაება შრომითს საქმიანობაში. 1920-1926 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე. საბჭოურ ბრიგი საქმიანობის პარალელურად სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1927 წელს დამთავრა.

1926 წელს ი. მესხი მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში. 1966 წლიდან კი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა შრომის ნაყოფიერების, ხელფასისა და შრომითი რესურსების განყოფილების უფროსად, იყო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წევრი.

ი. მესხის სახელი უშუალოდ არის დაკავშირებული საქართველოში სოციალისტურ აღმშენებლობასთან, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განვითარების დაგეგმვასთან. განსაკუთრებით დიდი მისი დამსახურება შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ხელფასისა და შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების დაგეგმვაში.

ი. მესხი ხანგრძლივი და უმწიკვლო მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო „სპატიოს ნიშნის" ორი ორდენით და მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიოს სიგელით. იგი იყო თბილისის კალინინის რაისაბჭოს დეპუტატი, აღმასკომის წევრი.

ღვაწლმოსილი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტის, თავმდაბალი ადამიანის ი. მესხის ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ამათთვის, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი იუწყება, რომ 74 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი, სკკპ წევრი 1944 წლიდან, საგეგმო კომიტეტის განყოფილების უფროსი ირაკლი სერგის-ძე მესხი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულს ოჯახს.

ᲛᲣᲨᲐ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲨᲘ

ᲨᲔᲡᲐᲛᲩᲜᲘᲐᲜ. საამქრობიდან და უბნებიდან ჯგუფ-ჯგუფად გამოდიან მუშები, მოსამსახურეები, დოვლათის შემქმნელი ადამიანები. ისინი მუშაობა სასადილოსაკენ მიმართავენ. დრო ხომ განსაზღვრულია და ამიტომაც ყველას სურს მალე ისაუზმოს, შეისვენოს, ისიამოვნოს კიდევ და ალალი ენერგიით, ახალი შემართებით შეუდგეს შრომას.

რა თქმა უნდა, ფაბრიკებსა და ქარხნებში მშრომელ ადამიანებს შესვენება არა მარტო დასანაყრებლად ესაჭიროებათ. არამედ დროის ამ მონაკვეთს — ბუნებრივი და ფიზიკური ზნეობის მისაღებადაც და ენერგიის აღსავსედ ყოფნებენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე როდი ხერხდება ყველგან. მაგალითად, ასეთ სიამოვნებას და კმაყოფილებას ვერ მიიღებს შრომელი ადამიანი თბილისის სასადილოების მეორე ტრესტის № 83 გაერთიანების ობიექტებში (გამგე ი. ტყეშელაშვილი), რომლებიც ფოლად-თუჯსამსხმელო და ვ. ი. ლენინის სახელობის ზუშის ქარხნების კოლექტივებს ემსახურებიან. ყოველივე ეს რომ ასეა, ამაზე შემოწმების მასალები მეტყველებენ.

ამ რი მნიშვნელოვანი საწარმოს მუშათა სასადილოების შუშაობის შემოწმებით უაღრესად არასასიამოვნო ფაქტები გამოვლინდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ობიექტების ნორმალური მუშაობისათვის არც ქარხნების და არც სასადილოების ხელმძღვანელები თავს არ იწყენენ.

რაოდენ გაოცებას იწვევს ის, რომ ასეთი მსხვილი საწარმოების მუშებისათვის განკუთვნილ სასადილოებში დასაჯდომი ადგილები არ ყოფნით, სალილების ბაცემა პრიმიტიულად, შეფერხებით ხდება, მომხმარებელს დიდხანს უწევს რიგში დგომა, დროის უქმად ფლანგვა, შესვენებისათვის განკუთვნილი წუთების უნაყოფოდ ხარჯვა. ცხადია, ამ მდგომარეობის გამოსწორება სულ უბრალოდ შეიძლებოდა. მაგრამ ამის გაკეთებას ხომ სჭირდება შრომა. და აქ სწორედ ამ შრომისათვის არავინ იტკივებს თავს.

ერთი სიტყვით, ისე მუშაობენ, როგორც სურთ. ძნელეში სხვას წერენ. მომხმარებლებს კი სულ სხვას სთავაზობენ. და მართლაც იძულებითი ასორტიმენტით კვებავენ მათ. მაგალითად, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის სასადილოში შემოწმებისას რაგუ ჰქონდათ: ეს მაშინ, როცა მენიუში ეს კერძი საერთოდ ნახსენებიც არ იყო. აქ არც კომპლექსური სადილების რეალიზაციას უწყობენ ხელს და პროდუქციის გაყვანაზე ქვითრების გამოწერისთვისაც არავინ იშუხებს თავს.

უფრო გასაკვირველი ის არის, რომ 92-ადგილიან სასადილოში მხოლოდ 13 კოვზი აღმოჩნდა, ასევე ცოტა იყო ჩანგლები, ხოლო დანები საერთოდ კარგა ხანია აქ თვალით არავის უნახავს.

სასადილოში ერთი კვირის მენიუს შემოწმებით დადგინდა, რომ აქ ძირითადად ხორციან კერძებს ამზადებენ, სრულიადაც არ ფიქრობენ იმისათვის, რომ მოძმრავებელს მიაწოდონ თევზეული, ნამცხვარი, კომპოტი, კისელი. ბარნერისათვის მარტო მაკარონსა და ბურღულს ხმარობენ. კარტოფილის პიურე კვირის მანძილზე მხოლოდ ერთხელ შესთავაზეს მუშებს. მოკლედ რომ ითქვას, აქ არაფერი არ კეთდება იმისათვის, რომ გაუჯობესონ კერძების ხარისხი, გააიაფონ ისინი.

სანტარულ-ტექნიკურ ნორმებს სრულებითაც ვერ აკმაყოფილებს შუშის ქარხნის სასადილო. აქ კალიათ თეფშები, ჭიქები, ხოლო კოვზებსა და დანებს საერთოდ იშვიათად გამოაჩენენ ხოლმე. როგორც ჩანს, კერძები მუდამ ერთფეროვანია და მხოლოდ ხორცეულისაგან მზადდება. რატომღაც კაცი არ ფიქრობს იმაზე, რომ საკმაო რაოდენობით ჰქონდეთ რძის პროდუქტები, თევზეული, ნამცხვარი და სხვ. ალბათ უფრო სამწუხაროა ის, რომ ამ სასადილოში თითქმის ყველაფერი ტექნოლოგიური პროცესისა და რეცეპტურის დარღვევით მზადდება. მაგალითად, შემოწმებისას ხარჩო უსუნელო, ზედმეტად მოხარშულბრინჯიანი და მქაქე იყო, აზუ შეუმწვარი კარტოფილით იყო შეზავებული, შნიცელს მარგარინის მაგივრად ზეთში წვავენ. ერთ სიტყვით, აქაური სასადილო ნამდვილად უპატრონოდ და უყურადღებოდ არის მიტოვებული. ქარხნის ადმინისტრაცია, სასადილოების მეორე ტრესტი მის მუშაობაზე არავითარ კონტროლს არ ახორციელებენ.

ორივე საწარმოს სასადილოებში მენიუს ნამდვილად ფორმალურად აღგენენ. სპეციალური ფორმის მაგივრად მენიუ ებრალო ქაღალდზე იწერება. ამ სასადილოებში ლაბორატორიულად მზა კერძების 17 ნიმუში შეამოწმეს. გამოირკვა, რომ 12 ნიმუში უხარისხო იყო. მაგალითად, ტექნოლოგიური პროცესისა და რეცეპტურის დარღვევით იყო დამზადებული „სოლიანკა", ისპანახის ფხალი, შნიცელი, კისელი, მოხარშული ხორცი ვერმიშელის გარნირით, საქონლის ხორცის რაგუ. არასტანდარტული ამოჩნდა მაწონი, პურის მეოთხე ქარხანაში გამომცხვარი პური, რძის კომბინატის მიერ გამომშვებული ხაჭო. ერთი სიტყვით, ზოგს წონა აკლდა, ზოგს ცხიმიანობა, სხვას სინესტე სჭარბობდა და ა. შ.

სამწუხაროდ, ისიც უნდა თქვას, რომ ზემოთ მოყვანილი ფაქტები ნამდვილად უმნიშვნელოა იმასთან შედარებით, რაც ამ სასადილოების მუშაობის შემოწმებითა და საერთო ანალიზის შედეგად გამოირკვა. ორივე სასადილო საქონლბრუნვის გეგმებს ვერ ასრულებს, დაბალია მომსახურების დონე. სასადილოების მუშაობა სრულებითაც ვერ აკმაყოფილებს მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნებს.

ამიტომაც ხშირად ისმის საყვედურები. დირექციას, პარტიულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს მიმართავენ სიგნალებით აქ შექმნილი პარადოქსული მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ყველაფერი უყურადღებოდ რჩება. ორივე საწარმოს ხელმძღვანელობა (დირექტორები გ. ანჩაბაძე, გ. ბელიძე, პარტიული კომიტეტების მდივნები ჯ. მანჯგალაძე და ვ. სალარაძე, პროფკავშირის საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეები დ. ახულდიანი და ტ. მიმინოშვილი) უსულგულობას, უდარდელობას და აშკარა უპასუხისმგებლობას იჩენენ იმათ მიმართ, ვინც ამ სასადილოების მომსახურებით სარგებლობს. ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ამ ქარხნების ხელმძღვანელები ალბათ იშვიათად მიიჩიმეენენ ხოლმე აქაურ სადილებს და, რა თქმა უნდა, ნაკლებად გრძნობენ იმ უსიამოვნებას, რასაც რიგითი ადამიანები განიცდიან.

ნამდვილად გაკვირვებას იწვევს, რატომ არ აღელვებს ამ საწარმოთა ხელმძღვანელებს და სასადილოების მეორე ტრესტის მესვეურებს (ტრესტის დირექტორი ვ. მაისურაძე) ისეთი მასიური ფაქტები და მოვლენები, რომ სასადილოების მომარაგება და ნაშაულებრივად უარესდება?

წელს პირველ კვარტალში შარშანდელთან შედარებით სასადილოების 63 გაერთიანებაში დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის შედეგად ნაკლები რაოდენობით შეიტანეს ქათმის ხორცი, ძეხვეული, შაჭარი, მარგარინი, ყველი, კვერცხი, მაკარონი, ზეთი. სრულებით არ შეუზიდავთ ბოსტნეულის კონსერვები, ნაყინი და ა. შ.

ისმება კითხვა, რატომ? ვინ არის დამნაშავე ამაში, რომ უბედნიერეყოფენ მუშათა მოთხოვნებს, რომ არაფერს აკეთებენ მომარაგების გაუმჯობესებისათვის? ერთი სიტყვით, სურათი ნათელი და გასაგებია. პროდუქტები ბლომად გვაქვს საწყობებსა და ბაზებში, ბევრი პროდუქტი დეფიციტური აღარ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთებს ეს ხელს აღარ აძლევს.

ერთი სიტყვით, გამოვლინებული ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ამ მსხვილ საწარმოთა კვების ობიექტების მუშაობის ნაკლოვანებანი უაღრესად დამაფიქრებელი და უთუოდ მრავლისმეტყველია. ცხადია, ჯერ კიდევ მოსავსავთ ვართ ისეთი ვითარებისაგან, როცა რესპუბლიკაში საერთო პოლიტიკური კლიმატის მნიშვნელოვან გაჯანსაღებასთან ერთად მომსახურების სფეროს საქმიანობაც გაუმჯობესებულად მივიწნოთ.

როგორც სიგნალები გვეტყობინებენ, თბილისის და საერთოდ რესპუბლიკის ბევრ მუშათა სასადილოში სათანადო წესრიგი არ არის. ცხადია, ამ უმნიშვნელოვანეს უბანს აკლია ვაჭრობის ხელმძღვანელი ორგანოების მტკიცე ხელი, ისეთი ყურადღება და მზრუნველობა, რომელიც უზრუნველყოფს ქარხნებისა და. ფაბრიკების კვების ობიექტების ნორმალურ მუშაობას. საჭიროა სისტემატურად ვამოწმებდეთ, კონტროლს ვუწევდეთ, ვავლენდეთ ნაკლოვანებებს და ვიბრძოდეთ მათი აღმოფხვრისათვის. ერთი სიტყვით, საქმე ის არის, რომ დღეიდაგ ვსწავლობდეთ იმას, თუ როგორ მარაგდება მუშათა სასადილოები, როგორია მომსახურება, საერთოდ როგორ ზრუნავენ დოვლათის შემქმნელი ადამიანების სიკეთისათვის.

ქარხნებსა და ფაბრიკებში მუშათა სასადილოებს პირველ ნომერ საამქროებს უწოდებენ ხო, რა თქმა უნდა, არავის არ უნდა ეპატიოს ამ საამქროთა მიმართ უსულგულო დამოკიდებულება.

გ. ჩიქვინიძე.



„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲖᲔ
ზ. ᲥᲐᲗᲣᲨᲕᲘᲚᲘ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲖᲦᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲔ"

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ᲠᲐᲓᲘᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

□ 21 Ა�პᲠᲘᲚᲘ

17.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 18.05 — განცხადებები, 18.10 — მოსწავლეთათვის — „ის დაიბადა აპრილის თვეში", 18.40 — რესპუბლიკის ახალი ამბები (რუსულ ენაზე), 19.00 — ვ. ი. ლენინის დაბადების 105 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომისა და კონცერტის ტრანსლაცია რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. შესვენების დროს „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — სატელევიზიო ფილმი, 22.00 — „ეროემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია. შეხვედრა საბჭოთა ბავშვის პიონერიაზე. „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი). მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი (გადმოცემა მოსკოვიდან), დასასრული ახალი ამბები.

□ 22 ᲐᲠᲘᲚᲘ

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდ